

პერიოდი	შეხვედრების საერთო რაოდენობა	შეხვედრების ადგილი ქალაქი (უბანი, ქუჩა), დაბა (უბანი, ქუჩა), სოფელი	ძირითადი იდენტიფიცირებული პრობლემები	რა რეაგირება მოახდინა დეპუტატმა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე	რა შედეგი მოჰყვა დეპუტატის რეაგირებას, მოგვარდა თუ არა პრობლემა
პასუხები წარმოდგენილია დეპუტატის მიერ მოწოდებული სახით					
I კვარტალი 2022	10	ქ. ლაგოდეხი 26 მაისის ქ. N25	ალაზნის ჭალის ტყეების, მსალგორის ტყის და ბაისუზნის ტყის ჭრასთან დაკავშირებით.	ბიუროს ორგანიზებით ჩატარდა გაფართოებული შეხვედრა: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგელები, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული და მაჟორიტარი პარლამენტის წევრი შეხვდნენ საინიციატივო ჯგუფს.	მიმდინარე საკითხი
		ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25	ქ. ლაგოდეხში არსებული უმოქმედო სასმელი წყლის ჭაბურღილებიდან დებეტის მიღებისა და სასმელი წყლის ქსელზე დაერთების საჭიროების შესახებ, ასევე წყლის ვარგისიანობის საკითხი.	პრობლემა განხილულ იქნა ლაგოდეხის ადგილობრივ ხელისუფლებასთან	მიმდინარეობს ადგილობრივ დონეზე საკითხის შესწავლა
		ქ. თელავი, ერეკლე მეორის ქ. N16	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საქმიანობის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობის შესახებ (მათ შორის, საკანონმდებლო ბაზის დახვეწის საჭიროებისა და საჯარო რეესტრთან ურთიერთობის გამარტივების შესახებ).	სამაჟორიტარო ოლქში დაგეგმილია გაფართოებული შეხვედრები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებთან	მიმდინარე საკითხი

		ქ. თელავი, ერეკლე მეორის ქ. N16	სოფელ კონდოლში სასაფლაოსკენ მიმავალი გზის რეაბილიტაციის და სოფელ კონდოლის საჯარო სკოლის სპორტდარბაზის რეაბილიტაციის საკითხები.	საკითხები განხილულ იქნა და შეთანხმდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან.	გზის რეაბილიტაციის საკითხზე ჩატარდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები. საჯარო სკოლის სპორტდარბაზის რეაბილიტაციისთვის მზადდება დოკუმენტაცია ტენდერის გამოცხადებისთვის.
		ქ. თელავი, ერეკლე მეორის ქ. N16	შეხვედრა გაიმართა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო დეპუტატებთან, სოფელ წინანდალში საჯარო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობის საკითხზე.	მაჟორიტარი პარლამენტის წევრი შეხვდა ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელს და განიხილა მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სკოლებში არსებული პრობლემატიკა, რაც ეცნობა მთავრობას.	პრემიერმინისტრის გადაწყვეტილებით დაგეგმილია სკოლების სრული რეაბილიტაცია, მათ შორის, წინანდალის საჯარო სკოლაში მოეწყობა გათბობის სისტემა.
		თელავი, ერეკლე მეორის ქ. N16	სოფელ ვარდისუბანში საბავშვო ბაღის მშენებლობის შეფერხებასთან დაკავშირებით.	შედგა კომუნიკაცია ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.	მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა.
		ყვარელი	სამეზობლო დავის შესახებ	მოდავეებს გაეწია კონსულტაცია და მიეცათ რჩევები	ამ ეტაპზე საკითხი ამოწურულია

		ყვარელი	სამსახურის ცვლილებასთან (ადგილმდებარეობის) დაკავშირებით	მოქალაქეს განემარტა პროცედურები და მიეცა რეკომენდაცია	მოქალაქე ჯერჯერობით დასაქმებულია იმავე სამსახურში
		ქ. თელავი, ერეკლე მეორის ქ. N16	ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე შეხვედრა შედგა UNICEF-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელთან დასან ხალილთან.		თელავში გაიხსნა ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრი
		ქ. ახმეტა	სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარების საკითხი	შედგა კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან	დაზარალებულებს მუნიციპალიტეტმა გაუწია პირველადი დახმარება, მიმდინარეობს შენობების სახურავების რეაბილიტაცია.

N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამაჟორიტარო ოლქის ოთხივე მუნიციპალიტეტში ჩატარებულ დასახლების საერთო კრებებში (52 შეხვედრა), სადაც მიმდინარე პრობლემების განხილვასთან ერთად, დასახლებულ იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტები.

ასევე, ინდივიდუალური შეხვედრები გაიმართა ამომრჩევლებთან - სოფლის მეურნეობის, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხების შესახებ.